საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები

მაისი, 2026

01

სამხრეთ კორეის სამართლიანი ვაჭრობის კომისია

სამხრეთ კორეამ შვიდ ფქვილის მწარმოებელ კომპანიას რეკორდული 490 მილიონი დოლარის ჯარიმა დააკისრა ექვსწლიანი საფასო კარტელის გამო

სამხრეთ კორეის კონკურენციის უწყებამ შვიდ ფქვილის მწარმოებელ კომპანიას რეკორდული 671 მილიარდი ვონის (490 მილიონი დოლარი) ოდენობის ჯარიმა დააკისრა ქვეყნის ფქვილის ბაზარზე თითქმის ექვსი წლის განმავლობაში ფასებისა და მიწოდების მოცულობების კოორდინაციის გამო.

კორეის სამართლიანი ვაჭრობის კომისიამ (KFTC) დაადგინა, რომ კომპანიები Daehan Flour Mills, CJ CheilJedang, Sajo DongAOne, Samyang Corporation, Daesun Flour Mills, Samhwa Flour Mills და Hantop 2019 წლის ნოემბრიდან 2025 წლის ოქტომბრამდე კოორდინირებულად ახდენდნენ ფასების ფიქსაციასა და მიწოდების მოცულობების განაწილებას. ერთობლივად მათი წილი სამხრეთ კორეის B2B ფქვილის ბაზარზე 2024 წელს 87.7%-ს შეადგენდა.

გამოძიებამ ცხადყო, რომ კარტელი ჩამოყალიბდა 2019 წელს კონკურენციის გამძაფრების ფონზე. კომპანიების ხელმძღვანელებმა გამართეს 55 შეხვედრა და დადეს 24 ცალკეული კარტელური შეთანხმება, რომლებიც მოიცავდა ფასებისა და მიწოდების კოორდინაციას მსხვილი კლიენტებისთვის, მათ შორის Nongshim-ის, Paldo-სა და Pulmuone-ისთვის. კომპანიებმა ასევე გამოიყენეს გლობალური ხორბლის ფასების რყევები ზრდის პერიოდში სწრაფად ახდენდნენ ხარჯების გადატანას მომხმარებლებზე, ხოლო კლების პერიოდში კოორდინირებულად აგვიანებდნენ ფასების შემცირებას.

განსაკუთრებით მძიმე გარემოებად შეფასდა ის ფაქტი, რომ კარტელი გრძელდებოდა მაშინაც, როდესაც მთავრობა ფასების სტაბილიზაციის მიზნით 47.1 მილიარდი ვონის სუბსიდიებს გასცემდა. KFTC-ის მონაცემებით, კარტელის პერიოდში ფქვილის საშუალო ფასები 38%-დან 74%-მდე გაიზარდა.

ყველაზე მაღალი ჯარიმები დაეკისრა Sajo DongAOne-ს (183.1 მილიარდი ვონი), Daehan Flour-ს (179.3 მილიარდი ვონი), CJ CheilJedang-ს (131.7 მილიარდი ვონი) და Samyang Corporation-ს (94.8 მილიარდი ვონი). ჯარიმების მთლიანი ოდენობა 671.0 მილიარდი ვონი KFTC-ის ისტორიაში წარმოადგენს ყველაზე მაღალ კარტელულ ჯარიმას. გარდა ამისა, 2026 წლის იანვარში პროკურატურას გადაეცა ყველა შვიდი კომპანია და 14 ხელმძღვანელი.

საქმეს განსაკუთრებული სიმძიმე სძენს ის გარემოება, რომ იგივე კომპანიები 2006 წელს უკვე სანქცირებული იყვნენ ფქვილის ფასების ფიქსაციისთვის, თუმცა კვლავ ჩაბმულნი აღმოჩნდნენ კარტელულ შეთანხმებაში, რომელიც გავლენას ახდენდა ისეთ ძირითად სასურსათო პროდუქტებზე, როგორებიცაა რამენი, პური, ლაფში და ნამცხვრები.

წყარო:

01

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაიწყო მოკვლევა GLOVO ჯგუფის კომპანიებისა და DELIVEROO ITALY-ის წინააღმდეგ

იტალიის კონკურენციის უწყებამ მოკვლევა დაიწყო Glovo-ს ჯგუფში შემავალი რამდენიმე კომპანიის, კერძოდ, Glovoapp23 S.A.-ს, Foodinho S.r.l.-ისა და Glovo Infrastructure Services Italy S.r.l.-ის მიმართ, აგრეთვე ცალკე მოკვლევა Deliveroo Italy S.r.l.-ის მიმართ, საკვების მიტანის მომსახურების სფეროში სავარაუდო სამართალდარღვევებთან დაკავშირებით.

მომხმარებლებისადმი მიმართულ კომუნიკაციებში, მათ შორის ეთიკის კოდექსებსა და კომპანიების ვებგვერდებზე განთავსებულ „ჩვენს შესახებ" განყოფილებებში კომპანიები, როგორც ჩანს, ქმნიდნენ კორპორატიულ იმიჯს, რომელიც ეთიკური სტანდარტებისა და სოციალური პასუხისმგებლობის დაცვაზე იყო დაფუძნებული, თუმცა შესაძლოა იგი არ ასახავდეს მათ რეალურ პრაქტიკას. აღნიშნული შეეხება, კერძოდ, შრომით პირობებსა და სამართლებრივ შესაბამისობას კურიერების მართვის პროცესში, მათ შორის ორივე კომპანიის საოპერაციო მოდელისა და ალგორითმის გამოყენების კუთხით.

მოკვლევის ფარგლებში, უწყების უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა, იტალიის ფინანსური პოლიციის (Guardia di Finanza) სპეციალური ანტიმონოპოლიური განყოფილების მხარდაჭერით, განახორციელეს მოულოდნელი შემოწმებები Foodinho S.r.l.-ის, Glovo Infrastructure Services Italy S.r.l.-ისა და Deliveroo Italy S.r.l.-ის სათავო ოფისებში.

[წყარო:]

02

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყებამ კომპანიებს კარტელურ შეთანხმებაში მონაწილეობისთვის 23 მილიონ ევროზე მეტი ჯარიმა დააკისრა

იტალიის კონკურენციის უწყებამ (AGCM) დაადგინა ანტიკონკურენტული შეთანხმების არსებობა მარილიანი სნექების ბაზარზე მოქმედ წამყვან მწარმოებლებს შორის, რომლებიც მსხვილი საცალო ქსელებისთვის პროდუქციას private label ბრენდების სახელწოდებით აწარმოებდნენ.

გამოძიებით დადასტურდა, რომ Amica Chips S.p.A., Pata S.p.A. და Preziosi Food S.p.A. მონაწილეობდნენ ერთიან და უწყვეტ კარტელურ შეთანხმებაში, რომელიც მიზნად ისახავდა ბაზრის განაწილებასა და კომერციული სტრატეგიების კოორდინაციას. აღნიშნული ქმედება არღვევდა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 101-ე მუხლს.

შედეგად, უწყებამ კომპანიებს დააკისრა ჯამში 23 298 147 ევროს ოდენობის ჯარიმა:

- Amica Chips S.p.A. - 8 239 210 ევრო;
- Pata S.p.A. - 7 555 387 ევრო;
- Preziosi Food S.p.A. - 7 503 550 ევრო.

უწყებამ გამოიყენა leniency პროგრამა და Pata-სა და Amica Chips-ს შეუმცირა ჯარიმები მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებმაც არსებითი მნიშვნელობა იქონია დარღვევის დადგენაში.

ამასთანავე, საქმე პირველად დასრულდა 1990 წლის 10 ოქტომბრის №287 კანონის მე-14-quater მუხლით გათვალისწინებული მორიგების (settlement) პროცედურის ფარგლებში, რამაც ყველა მონაწილე კომპანიისთვის დამატებითი ჯარიმის შემცირება უზრუნველყო.

[წყარო:]

03

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყებამ სამი მოკვლევა დახურა ვალდებულებების საფუძველზე- ვალდებულებები მიმართულია ხელოვნური ინტელექტის სისტემების გარშემო

უწყებამ სამი მოკვლევა დახურა ვალდებულებების საფუძველზე - ვალდებულებები მიმართულია ხელოვნური ინტელექტის სისტემების გარშემო გამჭვირვალობის გაზრდისკენ, მათ შორის მომსახურებებზე წვდომის უზრუნველმყოფ ვებგვერდებსა და აპლიკაციებზე, აგრეთვე შეძენამდე ან რეგისტრაციამდე გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ეტაპზე.

უახლოეს თვეებში იტალიის კონკურენციის უწყებამ გააფართოვა უსამართლო კომერციული პრაქტიკის შემოწმება გენერაციული ხელოვნური ინტელექტის სისტემებზე. კერძოდ, ყურადღება გამახვილდა ე.წ. „ჰალუცინაციების" რისკზე, არაზუსტი ან შეცდომაში შემყვანი კონტენტის გენერირებაზე. აღნიშნული მიმართულებით ორგანომ სამი მოკვლევა წარმართა შემდეგი კომპანიების მიმართ: Hangzhou DeepSeek Artificial Intelligence Co. Ltd და Beijing DeepSeek Artificial Intelligence Co. Ltd („DeepSeek"), Mistral AI SAS („Mistral") და Scaleup Yazilim Hizmetleri Anonim Şirketi, რომელიც NOVA AI სახელწოდების კროსპლატფორმულ ჩეთბოტ სერვისს გთავაზობს.

სამივე მოკვლევა დაიხურა ვალდებულებების საფუძველზე, სამომხმარებლო კოდექსის 27(7) მუხლის შესაბამისად, დარღვევის დადგენის გარეშე. კომპანიებმა იკისრეს ვალდებულება კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებისა, რომლებიც მიზნად ისახავს მათი სისტემებში „ჰალუცინაციების" რისკის შესახებ მომხმარებელთა ინფორმირებულობის გაზრდას. აღნიშნული ღონისძიებები ვრცელდება იმ ვებგვერდებსა და აპლიკაციებზე, რომლებითაც მომხმარებლები სარგებლობენ შესაბამისი მომსახურებების მიღების მიზნით, აგრეთვე შეძენამდე ან რეგისტრაციამდე გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ეტაპზე. შესაბამისად, მომხმარებლის ინტერფეისებში, სასაუბრო ფანჯრების ქვემოთ, განთავსდა მუდმივი გაფრთხილებები, რომლებიც მომხმარებლებს იტალიურ ენაზე აცნობებს ჰალუცინაციების რისკის შესახებ, მათ შორის სპეციალური ჰიპერბმულების მეშვეობით.

გაფართოვდა სახელშეკრულებო ურთიერთობამდე მიწოდებული ინფორმაციაც, კომპანიებმა დაამატეს მკაფიო გაფრთხილებები იმის თაობაზე, რომ გენერირებული კონტენტი ყოველთვის არ შეიძლება ჩაითვალოს სანდოდ და საჭიროებს დამოუკიდებელ გადამოწმებას. DeepSeek-ის საქმის ფარგლებში კომპანიამ ასევე იკისრა ვალდებულება, განახორციელოს ინვესტიციები „ჰალუცინაციების" რისკის შემცირებაზე ორიენტირებულ ტექნოლოგიებში და აღიარა, რომ არსებული ტექნოლოგიური შესაძლებლობები მათ სრულ პრევენციას ვერ უზრუნველყოფს. თავისი ვალდებულებების ფარგლებში კი NOVA AI-მა შეთანხმდა, მომხმარებლებისთვის მკაფიოდ განემარტა, რომ მისი სერვისი წარმოადგენს ერთიან ინტერფეისს რამდენიმე ჩეთბოტზე წვდომისთვის.

წყარო:

01

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

ხუთი წლის განმავლობაში ფასების კოორდინაცია და ბაზრის განაწილება - კარტელური შეთანხმება

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის უწყებამ (UOKiK) დაადგინა, რომ Decora-სა და Bel-Pol-ს შორის არსებობდა ერთიანი, კომპლექსური და უწყვეტი ანტიკონკურენტული შეთანხმება, რომელიც მოიცავდა ფასების კოორდინაციასა და ბაზრის განაწილებას. დარღვევა მიმდინარეობდა 2019 წლის მარტიდან 2024 წლის აპრილამდე და შეეხებოდა Decora-ს მიერ წარმოებულ ვინილისა და ლამინატის იატაკის პანელებს, საფენ მასალებს, პლინტუსებსა და იატაკის პროფილებს.

მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ Decora ახორციელებდა გასაყიდი ფასების ვერტიკალური ფიქსაციის (resale price maintenance) პრაქტიკას, კომპანია დისტრიბუტორებსა და საცალო მოვაჭრეებს აწვდიდა სავალდებულო საფასო ცხრილებს, ადგენდა მინიმალურ გასაყიდ ფასებს და აქტიურად აკონტროლებდა მათ დაცვას. დარღვევის შემთხვევაში გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის სადისციპლინო ღონისძიება, მათ შორის კომერციული პირობების გაუარესება და მიწოდების შეჩერება. პარალელურად, Decora-სა და Bel-Pol-ს შორის მოქმედებდა შეთანხმება კლიენტებისა და საბითუმო ბაზრის განაწილების თაობაზე, რაც არსებითად ზღუდავდა კონკურენციას და მომხმარებელთა არჩევანის თავისუფლებას.

უწყების შეფასებით, აღნიშნული პრაქტიკები ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხელოვნურად ინარჩუნებდა ფასებს მაღალ დონეზე, რის შედეგადაც მომხმარებლები პროდუქციისთვის გადაჭარბებულ საფასურს იხდიდნენ.

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის უწყებამ კომპანიებსა და მათი მენეჯმენტის წარმომადგენლებს ჯამში 33 927 343,75 ზლოტის ოდენობის ჯარიმა დააკისრა, შემდეგი განაწილებით:

- Decora - 28 344 000 PLN
- Bel-Pol - 5 290 000 PLN
- Tomasz Ginter (Decora) - 165 375 PLN
- Marcin Nawrocki (Bel-Pol) - 127 968,75 PLN

საქმის ფარგლებში Bel-Pol-მა ისარგებლა შეღავათიანობის (leniency) პროგრამით და ითანამშრომლა უწყებასთან, რის შედეგადაც მის მიმართ დაკისრებული ჯარიმა 50%-ით შემცირდა. ამასთანავე, გამოყენებულ იქნა მორიგების პროცედურა, რამაც ყველა მონაწილე მხარისთვის ჯარიმის დამატებითი შემცირება უზრუნველყო.

უწყების საბოლოო გადაწყვეტილება ძალაში არ შესულა და შესაძლებელია მისი გასაჩივრება სასამართლოში. ამასთანავე, კონკურენციის სამართლის დარღვევით დაზარალებულ პირებს უფლება აქვთ კერძო აღსრულების მექანიზმების ფარგლებში სასამართლოს მიმართონ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

წყარო:

02

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

UOKIK-თან თანამშრომლობაზე უარის ძვირადღირებული შედეგი BELIANI-ს 2 მილიონი ევროს ჯარიმა დაეკისრა

UOKiK-ის პრეზიდენტმა Beliani-ს მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო 8 453 400 ზლოტის, 2 მილიონი ევროს ექვივალენტის ოდენობის ჯარიმა დააკისრა. უწყება იძიებს, იყენებდა თუ არა კომპანია მომხმარებელზე ზემოქმედების არამართლზომიერ მეთოდებს ფასდაკლებების წარდგენისა და სწრაფი შესყიდვის წახალისების გზით.

ელექტრონულ კომერციაში შესყიდვის გადაწყვეტილებები ხშირად სპონტანურად მიიღება აქციების, დროის ზეწოლისა და შეზღუდული ხელმისაწვდომობის შემთხვევაზე მიმანიშნებელი შეტყობინებების გავლენით. სწორედ ამიტომ UOKiK რეგულარულად ამოწმებს ფასებისა და ფასდაკლებების შესახებ ინფორმაციის სისწორესა და სანდოობას. UOKiK-მა Beliani (PL) GmbH-სგან ავეჯის

წარმოებასა და ონლაინ გაყიდვებში მოქმედი შვეიცარული კომპანიისგან განმეორებითი მოთხოვნების მიუხედავად პასუხი ვერ მიიღო.

ონლაინ მაღაზიას შეუძლია მომხმარებლები აქციებით მოიზიდოს, თუ ბიზნეს-სუბიექტი პოლონეთის ბაზარზე საქმიანობს, ვალდებულია ითანამშრომლოს პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის უწყებასთან, პასუხის გაუცემლობა აფერხებს მოკვლევის წარმართვასა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

წინასწარი მოკვლევის ფარგლებში შეისწავლა beliani.pl ვებგვერდზე განთავსებული შეტყობინებები, რომლებმაც შესაძლოა მომხმარებლებში სწრაფი შესყიდვის ზეწოლა შეუქმნა, მაგალითად: „იჩქარეთ! დარჩა მხოლოდ რამდენიმე ცალი" ან „ეს პროდუქტი ბოლო 24 საათში [რაოდენობა] კმაყოფილ მყიდველს გაუხარდა". ამასთანავე, შეისწავლებოდა ფასდაკლებების კომუნიკაციის წესი, მათ შორის აქციამდელი 30 დღის განმავლობაში მოქმედი ყველაზე დაბალი ფასის სისწორე. UOKiK-მა კომპანიას ორჯერ მოსთხოვა შესაბამისი განმარტებები და დოკუმენტაცია, თუმცა წერილების სათანადოდ ჩაბარებისა და დადგენილი ვადების გასვლის მიუხედავად, კომპანიამ პასუხი არ გასცა.

კომპანიის ბრუნვის მონაცემების არარსებობის გამო გამოყენებულ იქნა კანონით დადგენილი მაქსიმალური ჯარიმა. ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა განპირობებული იყო Beliani-ს მხრიდან თანამშრომლობის სრული არარსებობით. კომპანიამ პასუხი არ გასცა ინფორმაციის მოთხოვნის ორ ფორმალურ მიმართვას, უგულებელყო საკომუნიკაციო მცდელობები და სამართალწარმოებაში საკუთარი პოზიცია არ დააფიქსირა. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სასამართლოში გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

აღსანიშნავია, რომ ყველა ბიზნეს-სუბიექტი ვალდებულია ითანამშრომლოს UOKiK-თან სამართალწარმოების პროცესში. პასუხის გაუცემლობის, დადგენილი ვადის გადაცილებით პასუხის გაცემის ან მცდარი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში UOKiK-ის პრეზიდენტს უფლება აქვს დააკისროს ჯარიმა ბიზნეს-სუბიექტის წლიური ბრუნვის 3%-მდე ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ბრუნვის განსაზღვრა შეუძლებელია, ჯარიმამ შეიძლება მიაღწიოს კანონით დადგენილ მაქსიმუმს-2 მილიონ ევრომდე.

წყარო:

01

თურქეთის კონკურენციის უწყება

თურქეთის კონკურენციის უწყება იძიებს UNILEVER-ისა და MAGNUM-ის საქმიანობას სამრეწველო ნაყინის ბაზარზე

თურქეთის კონკურენციის უწყებამ ოფიციალური მოკვლევა დაიწყო Unilever Sanayi ve Ticaret Türk AŞ-სა და Magnum Dondurma AŞ-ის მიმართ სამრეწველო ნაყინის ბაზარზე კონკურენციის სამართლის შესაძლო დარღვევებისა და 2021 წლის კონკურენციის საბჭოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველზე.

მოკვლევა ეყრდნობა წინასწარ შეფასებას იმასთან დაკავშირებით, შესაძლოა თუ არა კომპანიებმა დაარღვიეს კონკურენციის დაცვის შესახებ 4054-ე კანონის მე-4 და მე-6 მუხლები, რომლებიც შესაბამისად შემზღუდველ შეთანხმებებსა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას არეგულირებს. პარალელურად შეისწავლება, შეასრულეს თუ არა კომპანიებმა 2021 წლის მარტში გამოცემული კონკურენციის საბჭოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულებები. 2026 წლის 22 აპრილს კონკურენციის საბჭომ დაადგინა, რომ არსებობდა საკმარისი საფუძველი სრულმასშტაბიანი მოკვლევის დასაწყებად შეფუთული სამრეწველო ნაყინის წარმოებასა და რეალიზაციაში მოქმედი კომპანიების მიმართ.

მოკვლევასთან ერთად კონკურენციის საბჭომ დროებითი ზომები დააწესა სავაჭრო ობიექტებში გამაცივებელ სივრცეზე კონკურენტული წვდომის შენარჩუნების მიზნით. კერძოდ, იმ სავაჭრო ობიექტებში, რომელთა დახურული სავაჭრო ფართი 100 კვ.მ-ს არ აღემატება და სადაც მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი ნაყინის გამაცივებელი მხოლოდ Unilever-ის მიერ არის მოწოდებული, კომპანიები ვალდებულნი არიან თითოეული გამაცივებლის სიმძლავრის 30% ერთიანი ბლოკის სახით კონკურენტი პროდუქტებისათვის დაჯავშნონ. გამოყოფილი სექცია მკაფიოდ უნდა მოინიშნოს კონკურენტი ბრენდებისათვის განკუთვნილად, ხოლო Unilever-ისა და Magnum-ის პროდუქციის ამ სივრცეში განთავსება დაუშვებელია. იმ შემთხვევაში, თუ კონკურენტი პროდუქტები განსათავსებლად ხელმისაწვდომი არ არის, დაჯავშნული სექცია ცარიელი უნდა დარჩეს. სავაჭრო ობიექტებს ასევე უფლება აქვთ მოითხოვონ კონკურენტი პროდუქტებისათვის გამოყოფილი სიმძლავრის 30%-დან 50%-მდე გაზრდა.

კონკურენციის საბჭომ ხაზი გაუსვა, რომ ამ ეტაპზე საბოლოო დასკვნა კომპანიების მხრიდან კონკურენციის სამართლის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით არ გამოტანილა. მიმდინარე მოკვლევა შეაფასებს, ახორციელებდნენ თუ არა Unilever და Magnum ანტიკონკურენტულ ქმედებებს ან არღვევდნენ თუ არა კონკურენციის უწყების ადრინდელი გადაწყვეტილებით დაკისრებულ ვალდებულებებს.

საქმე ასახავს თურქეთის ნაყინის სექტორში ექსკლუზიური განთავსების პირობებსა და გამაცივებელ სივრცეზე წვდომასთან დაკავშირებულ მარეგულირებელ ყურადღებას, სადაც საცალო ვაჭრობის დონეზე გამაცივებელ სიმძლავრეზე წვდომა ბრენდებს შორის ეფექტური კონკურენციის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილება.

<u>წყარო:</u>

01

ჩეხეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის ოფისი

ჩეხეთის კონკურენციის უწყებამ HP TRONIC-ს 40 მილიონი ჯარიმა დააკისრა

ჩეხეთის კონკურენციის დაცვის ოფისმა HP TRONIC Zlín, spol. s r.o.-ს ელექტრო საყოფაცხოვრებო ტექნიკის სფეროში კონკურენციის შემზღუდველი აკრძალული შეთანხმებების დადების გამო 38 971 000 კრონის ოდენობის ჯარიმა დააკისრა. დარღვეულია როგორც ეროვნული, ისე ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმები. კომპანიამ დაკისრებული ჯარიმა გაასაჩივრა, რომელზეც გადაწყვეტილებას სააპელაციო წესით უწყების პრეზიდენტი მიიღებს.

HP TRONIC Zlín, spol. s r.o. (შემდგომში — „HP Tronic") წარმოადგენს სამომხმარებლო საქონლის, განსაკუთრებით ელექტრონიკის, ჩეხეთის წამყვან დისტრიბუტორსა და საცალო გამყიდველს. კომპანია DATART და ETA ბრენდების სახელწოდებით ოპერირებს საცალო მაღაზიებისა და ელექტრონული კომერციის ფართო ქსელს.

2012 წლიდან 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში HP Tronic-ი საცალო მოვაჭრეებისთვის ადგენდა მომხმარებლებზე გასაყიდი პროდუქციის მინიმალურ ფასებს, რითაც ხელს უშლიდა გამყიდველებს, თავისუფლად განესაზღვრათ საკუთარი სასაქონლო ფასები და პროდუქცია შემცირებულ ფასად შეეთავაზებინათ. ფასების ფიქსაცია ვრცელდებოდა

მსხვილ და წვრილ საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე, სამომხმარებლო ელექტრონიკაზე, კომპიუტერულ და სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობაზე.

HP Tronic-ი მუდმივად აკონტროლებდა დადგენილი ფასების დაცვას და იმ კლიენტებს, რომლებიც პროდუქციას დადგენილზე დაბალ ფასად ყიდდნენ, ავალდებულებდა ფასის შეთანხმებულ დონემდე აწევას. დადგენილი ფასების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომპანია „დაუმორჩილებელი" გამყიდველების მიმართ სხვადასხვა სახის სადისციპლინო სანქციას იყენებდა.

სანქციის დაკისრებისას უწყებამ გაითვალისწინა, რომ კომპანიამ ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას აღიარა ანტიკონკურენტული ქმედება და ჩაერთო leniency პროგრამაში.

ბოლო წლებში უწყებამ აღნიშნული პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანი ჯარიმები დააკისრა კომპანიებს, განსაკუთრებით ელექტრო საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და შინაური ცხოველების საკვების სფეროებში. კომპანიების მიმართ გამოყენებული სანქციები: Electrolux - 125 მილიონი CZK, VAFO - 120 მილიონი CZK, Groupe SEB - 72 მილიონი CZK, Tescoma - 64 მილიონი CZK და სხვ.

წყარო:

01

ბულგარეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის კომისია

ბულგარეთის კონკურენციის დაცვის კომისიამ ბრალდება წაუყენა 7 კომპანიას

ბულგარეთის კონკურენციის დაცვის კომისიამ (CPC) ბრალდება წაუყენა შვიდ კომპანიას ორ ცალკეულ კარტელულ მოკვლევაში, რომლებიც სამედიცინო დაწესებულებებში სასურსათო მომარაგებისა და სამთო-სამშენებლო დანადგარებისა და აღჭურვილობის სახელმწიფო შესყიდვების ტენდერებს უკავშირდება.

კომისიამ განაცხადა, რომ ორივე საქმეზე კომპანიების სათავო ოფისებში განხორციელდა მოულოდნელი შემოწმებები სოფიას რაიონული ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ

გაცემული სასამართლო სანქციების საფუძველზე და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალიზებული პოლიციის განყოფილების ხელშეწყობით.

პირველი მოკვლევა ეხება სოფიას სამედიცინო დაწესებულებებში სასურსათო მომარაგების სახელმწიფო ტენდერებში სავარაუდო ბიდ-რიგინგს. მოკვლევა დაიწყო პარლამენტის წევრ ვასილ პანდოვის მიერ შეტანილი განცხადების საფუძველზე. CPC-ის შეფასებით, მოპოვებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ სამი კომპანია მესამე მხარის კონსულტანტის მეშვეობით ცვლიდა კომერციულად მგრძნობიარე ინფორმაციას, რაც კონკურენციის სამართლის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

მეორე მოკვლევა ეხება სამთო და სამშენებლო სექტორებში გამოყენებული მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის მომარაგების სახელმწიფო ტენდერებს. კომისიის განცხადებით, წინასწარი მტკიცებულებები მიუთითებს, რომ სამი კომპანია კოორდინირებულად მონაწილეობდა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურებში, მათ შორის ფასების შეთავაზებებისა და სხვა კომერციული პირობების კუთხით.

CPC-მა სახელმწიფო შესყიდვებში მანიპულაცია კარტელური ქმედების ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გამოვლინებად შეაფასა. აღნიშნული პრაქტიკა გულისხმობს კონკურენტებს შორის აკრძალულ შეთანხმებებს ან კოორდინირებულ ქმედებებს ფასების ფიქსაციის, ბაზრების განაწილებისა ან ტენდერებში მანიპულაციის მიზნით და შესაძლოა სახელმწიფო სახსრების მნიშვნელოვანი დანაკარგების მიზეზი გახდეს.

სამთო და სამშენებლო დანადგარების მოკვლევის ფარგლებში ერთ-ერთმა კომპანიამ კომისიას leniency პროგრამის საფუძველზე მიმართა კომისიას სანქციებისგან სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლების მოთხოვნით.

საბოლოო გადაწყვეტილებები გამოიცემა შემდგომი განხილვის საფუძველზე.

ბულგარეთის კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისად, კარტელური ქმედების განხორციელებაში ბრალდებულ კომპანიებს შეიძლება დაეკისროთ ჯარიმა წინა საფინანსო წლის მთლიანი ბრუნვის 10%-მდე ოდენობით, ასევე შეიძლება შეეზღუდოთ სახელმწიფო შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის უფლება.

წყარო:

01

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებლის კომისია

EMMA SLEEP-ს 15 მილიონი ავსტრალიური დოლარის ჯარიმა დაეკისრა შეცდომაში შემყვანი კომერციული პრაქტიკისთვის





ავსტრალიის ფედერალურმა სასამართლომ Emma Sleep Pty Ltd-სა და Emma Sleep Southeast Asia Inc-ს დაავალა ერთობლივად გადაიხადონ 15 000 000 AUD-ის ოდენობის ჯარიმა მატრასებზე, საწოლის ჩარჩოებზე, ბალიშებსა და სხვა პროდუქტებზე განხორციელებული მცდარი სარეკლამო პრაქტიკის გამო.

2020 წლის 15 ივნისიდან 2023 წლის 27 მარტამდე Emma Sleep ახდენდა 74 პროდუქტის ონლაინ რეკლამირებას გადახაზული მაღალი ფასის, პროცენტული ფასდაკლების („50%-იანი ფასდაკლება") ან კონკრეტული დანაზოგის მინიშნებით („დაზოგეთ 3 531 დოლარამდე"). კომპანიამ 2025 წლის ივნისში აღიარა, რომ 74 პროდუქტიდან 58 არასოდეს ყოფილა გაყიდვაში მითითებულ "გადახაზულ" ფასად, ხოლო დარჩენილი 16 პროდუქტი კი პრაქტიკულად არასოდეს ყოფილა ამ ფასად შეთავაზებული. ამასთანავე, კომპანია იყენებდა დროის ამთვლელებს, აგრეთვე ფრაზებს „სრულდება მალე" - მაშინ, როდესაც ფასდაკლება რეალურად განუსაზღვრელი ვადით გრძელდებოდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ქმედებები გამომდინარეობდა განზრახი მარკეტინგული სტრატეგიიდან და რომ უფროსი მენეჯმენტი შეგნებულად არ უზრუნველყოფდა ავსტრალიის სამომხმარებლო კანონმდებლობასთან შესაბამისობის

კონტროლს. საქმის განხილვის პერიოდში Emma Sleep-ის ვებგვერდი 4,9 მილიონზე მეტჯერ იქნა მონახულებული, სოციალური მედიის პოსტებმა 10 მილიონზე მეტი ნახვა დააგროვა, ხოლო შეცდომაში შემყვანი განცხადებები 4 მილიონზე მეტ მომხმარებელს ელექტრონული ფოსტის საშუალებით და 500 000-ზე მეტ პირს SMS-ის მეშვეობით გაეგზავნა. შედეგად კომპანიამ 134 მილიონ AUD-ზე მეტი შემოსავალი მიიღო 243 000-ზე მეტი ერთეულის რეალიზაციით.

სასამართლომ Emma Sleep Pty Ltd-სა და Emma Sleep Southeast Asia Inc-ს თითოეულს 7 500 000 AUD-ის ჯარიმა დააკისრა, ჯამში 15 000 000 AUD.

Emma Sleep GmbH გერმანული საძინებლის ავეჯის მომწოდებელი კომპანიაა, დაარსებული 2013 წელს ფრანკფურტში, რომელიც 30-ზე მეტ ქვეყანაში ოპერირებს.

წყარო:

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

გადამოწმდა სამხრეთ კორეის, იტალიის, პოლონეთის, ავსტრალიის, თურქეთის, ჩეხეთის და ბულგარეთის კონკურენციის უწყებების ოფიციალური გვერდები.

15 20

info@gcca.gov.ge

www.gcca.gov.ge

GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

GCCA • Georgian Competition and Consumer Agency

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"